



№ 22 (1392) ნოემბერი 1972


სიანჭო

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კპ.

— ახანაგო, კონაზე ხუთ კაპიკს ვერ დამიკლებთ?
— ვინაა შენი ახანაგი, შე მათხოვარო!

ნ.ს. ჯ. ლოლუასი

მოკვამხართ პირუტყვის ბაზრისათვის



ფერმის გამგას კომპოზტ, მოსკოვს კრებულისათვის

საჩივრის წიგნი

მაინც რა არის ეს ოხერი თვალი?!.
რამდენჯერაც კი მოვახერხე ტაქსში ჩაჯდომა. იმდენჯერ მხერა ჩემს პირდაპირ, შოფერის მარჯვენა მხარეზე, გაკრული პატარა განცხადებისკენ გამიბრბის: „მგზავრთა საყურადღებოდ! გადაიხადეთ მხოლოდ ტაქსომეტრის მაჩვენებლის მიხედვით, საჩივრების წიგნი ინახება შოფერთან. საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ: 66-35-69, 66-30-49“.

ერთ დღეს, რაღაც ეშმაკად, ამეკვიატა აზრი: მოდი, ერთი შოფერს საჩივრის წიგნს მოვთხოვ-მეთქი, მე შენ ვეტყვი და მიზეზს ვერ ვიპოვი საამისოდ?

ჰოდა, ის იყო სამამანეთიანი გავუწოდე, შოფერმა ზიბეები დაიქექა და დაკმუჭნილი მანეთიანი ზრდილობიანად ჩამილო ხელში (ერთი მანეთი და 10 კაპიკი ეწერა იმ დალოცვილ ტაქსომეტრზე). რომ მე, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, აღეშფოთდი და შოფერს საჩივრის წიგნი მოვთხოვე. ჯერ თითქოს ვერ გაიგო. რომ გავუმეორე, საცრისხელა თვალებით შემომხედა, კიდევ რომ გავუმეორე, თვალები მუბლზე გამოესხა. ერთ ხანს ასე მიყურა და უეცრად, შენ წარმოიდგინე, სიცილი წასკდა... ჯერ მარჯვენა ხელით დაბიჟინებული ცხვირის კვინტი ჩაბლუჯა და დინჯად ჩაიხეხვინა, მერე, ეტყობა, გონებაში კიდევ ერთხელ გაიხზრა ჩემი სიტყვები და ტემპს უმატა, საზურგეზე გადაწვა. გაიფხრიწა, გადაფიჩინდა, ძლივს და სუნთქავდა.

მე შევშინდი და აქეთ-იქით დავიწყე კტერა. მშველელს ვეძებდი. ვინ იცის, რა სახის ავადმყოფობა არ აწუხებს კაცს. შოფერმა, როგორც იქნა, სული მოითქვა და დაოსებულმა, კრემლიანი თვლებით შემომხედა.

— მაშ, საჩივრის წიგნი, არა? — აქ სიტყვა გაუწყდა. სულ გადაირია ის ჩემი ცოდვით საეცე. საზურგეს მოსცილდა და პირდაპირ ჩემს მუხლებზე დადო უშველებელი თავი. იცინის, იცინის, კვდება სიცილით, გაიხა კაცი. მერე წამოჯდა. იევე შემომხედა, სახეზე ადამიანის ფერი არ ელა.

— არ მოკვდეს, ეს ოჯახიკო! — გავიფიქრე მე.
— საჩივრის წიგნი, ა! — ახლა ხმა სულ გაუწვრილდა, ორი ნიჩბისოდენა ხელი მუცელზე მიიჭირა და ხრინწიანი კრინით განაგრძო ისტერიკული სიცილი... კისერზე, საფეთქლებზე, მუბლზე ძარღვები საქონლის დასაბამი თოკივით გაუხდა, და ულურჯდა, დროდადრო ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხან ბარბოხით, ხან მისუსტებული კრინით. ხან სოპრანოთი აღმოხდებოდა. „მაშ, საჩივრის წიგნი, არა?“

ბოლოს მოეშვა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. დაწყნარდა. ცრემლები მოიწმინდა, ძალაგამოღებული საზურგეს მიესვენა და ალულულდა: „შენ, ძმაო, კარგი შაყირბაში ყოფილხარ. წამოდი ჩვენთან. გარაეში, უფულოდ წაგიყვან, სინდისს გეფიცები. ყველა შოფერი მეინთს მოგცემს, ფულს გააკეთებ!“

რაკი დავრწმუნდი, რომ შოფერი სრულ ჭკუაზე იყო, მანქანიდან გადმოვედი და უახლოესი ტელეფონავტომატით ავკრიფე განცხადებაში მითითებული ნომრები. არაფერს მიასუსხა. კიდევ დავრეკე... ამასობაში ჩემს ნაცნობ შოფერს კლიენტის ეშოვა და ზედ ცხვირწინ არ ჩამიქროლა? თან მანქანიდან თავი გამოპყო და მომამახა: „ავაშენა ღმერთმა, ასე კაი ხანია არ მიცინია! მაშ, საჩივრის წიგნი, არა?“

გუგუნი ყველა ცოლ-ქმარს

შუალამის თორმეტი იქნებოდა, რომ ბენო და ლატავრა ბაღში შევიდნენ და ჩამოსხდნენ. ვიცი, თქვენ ისინი შეყვარებულები გგონიათ. არა და არა! ისინი მხოლოდ ცოლ-ქმარია.

რამდენი ხანია, ბენოს უნდოდა ლატავრასთვის სასიხარულო ამბავი ეთქვა. მომენტს ეძებდა. ლატავრა, როგორც, საზოგადოდ, ცოლი, ქმრის სიტყვებს ყურის ბარბანდიდან ტვინის ხვეულებამდე არ უშვებდა. დაპროგრამებული პასუხი ყოველთვის ენის წვერზე ეკიდა და ჩართვას რაღა დიდი ამბავი უნდოდა!

ახლა კი შესაფერი მომენტია. ბენოც მშვენიერ გუნებაზეა და ლატავრაც. მთვარეც, თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო შეყვარებულებს კი არა, მათაც ეთამაშებოდა და თვალს უკრავდა, მიდით, ახალგაზრდობა გაიხსენეთო. ბენოს კი ნამდვილად ჰქონდა ცოლისთვის მომზადებული სასიამოვნო სიტუბრები: ორ დღეში ახალ სამსახურში გადადიოდა, უკეთეს თანამდებობაზე.

— ლატავრა, თუ მატყობდი ამ ბოლო ხანს მოუსვენრობას?

— ნეტა შენ როდის არ იჯექი სახლში ეკლებზე!

— მოიცა, ქალო, უნდა გაგახარო! ამ ორი კვირის წინ...

— ორი კვირა გავიდა და აქამდე მიმაღვდი?

— მინდოდა, კარგ ხასიათზე დამეგულებინე.

— ჰო, მე ვარ ავი და შავი, შენ — ცხვარი!

— არა, მე ისე...

— განაგრძე!

— ჰოდა, ამ ორი კვირის წინ მივიღე რუს თაველზე და რესტორან „თბილისთან“...

— ვიცი. შეგებდა სკოლის, ან საბავშვო ბავშვის ამხანაგი და ძალით შევათრია შიგ!

— შეხედე იმ წყვილებს, რა ტკბილად დუღუნებენ!

— შენ იმ წყვილებს უყურებ, თუ მე მელაპარაკები?

— შენ გელაპარაკები, მაგრამ რა იქნება, უჩხუბრად მომისმინო!

— ესე იგი, მე გეჩხუბებ ხომ?

— არა, ქალო, მე გეჩხუბებ, ბოდიში, დამამთავრებინე!

— განაგრძე!

— ჰოდა... მოკლედ, იქ იდგა ლონგინოზ დიმიტრიძე. ხომ გახსოვს, გიას დაბადების დღეზე თამადად რომ გვყავდა. ისე რომ გავუსწორდო, წარმოიდგინე, აქ მე ვარ და ის, აი, მუხას ხომ ხედავ...

— ის მუხა არ გახლავთ, ცაცხვია.

— წიწმატი იყოს! ხომ გათვ, რა მანძილზე მოგახსენებ!

— მომახსენებ! ირონიებით დამიწყო ლაპარაკი!

— ირონია არ მიფიქრია, ჩემს თავს გეფიცები!

— ჩემს თავს გეფიცები! შენ მარტო შენი თავი გახსოვს!

— ახლა, თუ არ მათქმევინე...

— განაგრძე!

— ჰოდა, დამინახა თუ არა ლონგინოზ დიმიტრიძე, მომამახა (ცოტა ნასვამი იყო): შენი ბავშვები როგორ არიანო!

— შენი ბავშვები, თორემ ძალია მივდის მაგათ ეაზრდაზე! განა კითხულობ, რას ჰამენ, რას სვამენ, რა ნიშნებს ღებულობენ...

ავილოგი

ეს ტელეფონით საუბრის ნაწილია:

ლაბაძვა: რა, თინიკო? ჩემმა ქმარმა სამსახური გამოიცვალა? ჰო, მე ყველაფერი ყველაზე ბოლოს უნდა გავიგო, ისიც — სხვისგან!

რაფიელ მაგულაშვილი

გვეპიტხვებიან, ვერ ვაპასურობთ!

⊙ სად შოულობენ ბომა ქალები საღებავ რეზინებსა და ინგლისურ ირანულ სპარსებს, როდესაც ისინი არც ერთ მაღაზიაში არ იყიდება.

⊙ რატომმანა სიგარეტი „ექსტრა“ ტენიანი და რატომ ტენიანსე, რომ ნოწვევა უჭირს კაცს?

⊙ რაშია საქმე? რატომაა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე უმაღლესი ხარისხის სიგარეტები და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რატომ არაა?

⊙ რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ყველა დუღიანი ამბობა — ჩემი მანქანა ლატავრიაში მოვიგეო?


ერთუცხოვრიანი ამოცანა ამოხსნითურთ

ჰიპოკრ სეწყობის გამგედ მუშაობს, მისი ყოველთვიური ხელფასი 75 მანეთს შეადგენს. ჰიპოკრს ჰყავს ცოლი, სამი ქალიშვილი, ერთი სიძე და ერთიც — შინაბერა და. ცოლი თვეში 547 მან. და 50 კაპ. უჯდება; შუათანა ქალიშვილი და სიძე — 842 მან. და 75 კაპ.; უფროსი და უმცროსი ქალიშვილი — 702 მან. და 19 კაპ.; შინაბერა და — 311 მან. და 02 კაპ.; თვითონ მას, სხვადასხვა ხარჯებისთვის, 1059 მან. და 13 კაპ. რჩება.

ამოცანა გვეპიტხვება: სულ რამდენს იღებს ჰიპოკრ? პასუხი: სულ... მალე მიიღებს... 15 წელს!

ს. ვა-ია

ნახ. გ. ლომიძისა




— თაოფილეს მართლა ჩამოართვეს ეს ცინე-ღარბაზი? — მე გვინი, ცინე დაუტოვებს.

ახლა, როცა ამ ლექსს ვძღვებით, ვიხსენებ, სწამებოდა, რომ ჩემი ბავშვობის მომენტები, თბილისის მოხარული სარდალს უნდა ვხედავდით...

ანუ — (ღმერთო, შენ ვერცხული) — მობრუნდები წინაგანად...
 ანუ — უკვც დაინიშნე ვერცხვი თირანდებლობით...

ანუ, შეგი ისევ ჩვენი (სადანს ვერ ვხედავ) და თქვენი ვნებად...
 ანუ, შეგი ისევ ჩვენი (სადანს ვერ ვხედავ) და თქვენი ვნებად...



ნ. ხ. ხ. მკობრის ხატვა
 — ბავშვური საავადმყოფოს დეპარტამენტი



ნ. ხ. ხ. მკობრის ხატვა
 — მუშათა საბჭოს აქტიური წევრების მინისტრის სახლის წინ

ისტორიკული ჯიბის სივრცე

როცა სწავლა დაიწყო, მშობლები, მშობლები მისთვის, მშობლები მისთვის...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...

ანუ, შეგი, ანუ, შეგი...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...

ანუ, შეგი, ანუ, შეგი...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...
 ანუ, შეგი, ანუ, შეგი...



ნ. ხ. ხ. მკობრის ხატვა
 — დავით ბერიძის სახლში მისი ბავშვობის დროს

ნ. ხ. ხ. მკობრის ხატვა
 — დავით ბერიძის სახლში მისი ბავშვობის დროს

სიმართლე გვახსენებს!

გამარჯობა!
 — სადა, ჩემო ბატონო!
 — მე გასულია ჩემი ბავშვობის დროს...

ნ. ხ. ხ. მკობრის ხატვა

სიურსკრიზი

სამსახურიდან დაბრუნებულს, მეტად სასიამოვნო დეპეშა დაეძვდა: სიყრმის მეგობარი შაბათს ჩამოსვლას მპირდებოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლევანმა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, შორეულ აღმოსავლეთში მიიღო მიწვევა და, აგერ უკვე ათ წელზე მეტია, იქ მსახურობს. შაბათს ჩემი მანქანით აეროდრომზე ვიყავი. დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირდა. გადავკოცნე. მხარზე ხელი მოვუთათუნე და კარგად შევათვალიერე. თმებში ოდნავ შერეოდა ჭალარა და უფრო სამო შესახედავი იყო. ერთმანეთი მოვიკითხეთ და გზას დავადექით. მოვიდგარო და გზაზე თავის ამბებს მიყვებოდა. შემდეგ, უცებ, შეწყვიტა საუბარი და ქალაქს გადახედა.

— ძალიან შეცვლილა, ბიჭო, ყველაფერი! — აღტაცებულმა მითხრა და მხარზე ხელი დამკრა.

— ეს რა არის, ისეთ რაღაცებს გაჩვენებ, სიხარულისაგან გაგიჟდები. შენ ჯერ არც ახალი ფილარმონია გინახავს და არც საცურაო აუზი, არც ტელევიზიისა და რადიოს შენობა და სტადიონი, ერთი სიტყვით, სანახავი იმდენი გაქვს, ერთ კვირაში ვერც მოასწრებ.

ვატყობ, ყველაფერი ახარებს და ახალისებს.

— რა იყო, ჩემს წასვლას ხომ არ უცდიდნენ? — იცინის ლევანი მეც მეცინება.

— რაც მთავარია, გზები მომწონს ძალიან. გახსოვს, შენს სახლთან რომ დიდი ორმო იყო და წამდაუწუმ შიგ ვვარდებოდით? — გამახსენა ლევანმა...

— როგორ არ მახსოვს? — მეცინება მე და ტანში მაჟურქოლებს.

— ამას, ტრაქტორის მეტი, ვერაფერი ამოიყვანს! — თქვა ვიდაც გამვლელმა და ჩვენი მანქანა უიმედოდ შეათვალიერა.


ანდრო კოკოლიძე

ნ.ბ. დ. ზარაფიშვილისა



— უფროსო, ამ განყოფილებაში არასდროს არ ვყოფილვარ და ნუ მომპრის თავს ამ უცხო ხალხში.

ნ.ბ. ვ. კუციანი



— მამა, ეს რა ნიშანია?!
— „აგურის მოკარგვა პარკალულია“!!!



— თქვენს ახალ გამოყვანილ ჯიშს როგორი წველაქობა აქვს?
— წველაქობისა რა მოგახსენოთ და გინით კი უხრუნველყოფილია ზამთარ-ზაფხულ.

ტრაგედია

- პრივეტი!
- პრივეტი!
- რას აკეთებ?
- არაფერს. შენ?
- მეც.
- მერე?
- რა მერე?
- არაფერი.
- ჰოო!
- ნახე?
- ვინ?
- ის.
- ჰო.
- რაო?
- რა რაო?
- არაფერი.
- ჰოო.
- საღამოს რას აკეთებ?
- არაფერს.
- შენ?
- მეც.
- ჰოო.
- დარეკე!
- რა იყო?
- არაფერი.
- ჰოო.
- შენ საით?
- რა ვიცი.
- შენ?
- არც მე ვიცი.
- ჰოო.
- მაშ, ჩაო!
- ჩაო, ჩაო!

ტრაგედიას ყური მოჰკრა სიკოზ

რაზიელ ბოცინცი

ავტომატის თაღლითობა


წყლის ავტომატს, წარწერაანს, ბალთან მოკვარ თვლი, გადავწყვიტე, დამელია გაზიანი წყალი. მწვანე ჭადრებს გაუკვირდით, ქუჩა სცენად იქცა. წაშხვე ფული ჩავუშვი და მივეუშვირე ჭიქა. წყალს მოველი... არსად არი... მე არ ვკარგავ იმედს. გავიოფლე (ესეც შარბი), მაგრამ მოვითმინე. ავტომატი კი მამბრანებს — გამოხედვით კუშტი — გავგულისდი. ვუთავაზე რკინის შუბლში მუშტი... ხურდა ძლივსლა გამოვტაცე იმ ავტომატს — თაღლითოს. ორი კილო კი დამაქლდა მასთან დავით დაღლილს! ფული სწრაფად ჩავიფიბე, უკან გამოვბრუნდი, ცოტა გულიც მოვიფხანე, რომ გავლახე ქურდი!

სომხურიდან თარგმნა ბიგოთა გახაურმა.

1972

72-832

76137



...ძველად, ბატების წინაპრებმა გადაარჩინეს რომი. აქედან, გამომდინარე პონკონგის პოლიციის სასწავლებლის კურსანტებმა გადაწყვიტეს ყაზარმის შესასვლელთან ღამის დარაჯად დაეყენებინათ ბატი. შედეგი საოცარი იყო. სამი თვის მეცადინეობის შემდეგ ახალმა დარაჯმა შესანიშნავად აითვისა თავისი მოვალეობა. იგი ყაზარმაში ტუცხოს არავის უშვებდა. ბატს ახალი ფორმა შეუკერეს. ამის შემდეგ იგი გადიდგულდა და დაგვიანების შემთხვევაში კურსანტებსაც აღარ უშვებდა ყაზარმაში.



მანილას ზოოპარკში მცხოვრები სპილო ტერესა, საუზმისა და დაძინების წინ მისი მომვლელისაგან მოითხოვდა სააბაზანოში გაყვანას, პირს თვითონ იბანდა, ხოლო კბილების გახეხვა არ ეხერხებოდა, მაგრამ გრძობდა, რომ ეს აუცილებელი იყო, რადგან სპილოსთვის კბილის დაბლომბვასა და პროთეზის ჩასმას სტომატოლოგები ჯერ ვერ ბედავენ.

ნ.ა. ბ. ლომინისა



ყავის მოყვარული — მიტხელად იბოძა როგორ ყავას ანიჭებს თვითონ უპირატესობას: ვარშაველად, თურქულად მომზადებულს თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ყავას ნაღებით — ჩვეულებრივ, გათვითცნობიერებულა არომატული სასმელის მომზადების თითქმის ყველა წესში. მაგრამ ყავის ჭეშმარიტ მოყვარულთა შორისაც კი ყველამ არ იცის, რა არის ყავა იაპონურად, რასაც განსაკუთრებული საიდუმლოება არა აქვს. პატარა აუზს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ აბაზანას ავსებენ სამოც გრადუსამდე გაცხელებული ყავის მარცვლებით. საკმარისია ოციოდე წუთით ჩაიფლო ასეთ აუზში, რომ თავი ახალშობილივით იგრძნო. მაგრამ თუ რომელიმე ნატრივი გემოვნების მჭონე ყავისმოყვარულს არ დააკმაყოფილებს ეს, შეუძლია მისი მოქმედება გააძლიეროს სხვა ნებისმიერი წესით მომზადებული რომელიმე სახეობის ერთი ჭიქა ყავით.

